თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6786823

ნომერი: AR11001803

თარიღი : 22.11.2023

გაცემის თარიღი : 04.12.2023

გაცნობის თარიღი : 07.12.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარი , N1-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მურღულია პ/ნ 01024005288
- წინამძღვრიშვილის ქ. 96

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 22 ნოემბრის №AR11001803 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის №5690245 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 30 ნოემბრის №6781549 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ამჯერად წარმოდგენილ გეგმებსა და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული საზაფხულო, დამხმარე, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობების ჯამური მაჩვენებლები შეუსაბამოა ერთმანეთთან. გაითვალისწინეთ, რომ გეგმებზე დაფიქსირებული დენისა და გაზის მრიცხველების ოთახების ფართობები საჭიროა ჩათვლილ იქნეს დამხმარე ფართობში. აგრეთვე, წარმოდგენილი და შეთანხმებული გეგმები შეუსაბამოა ერთმანეთთან. აგრეთვე, საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა თითეულ გეგმაზე დატანილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ჯამური ფართობები გამოტანილ იქნეს ექსპლიკაციებზე, ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, დაზუსტებულ იქნეს მოთხოვნა საზაფხულო, დამხმარე და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, ასევე საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ასევე, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის №5690245 ბრძანებით შეთანხმებული მხოლოდ არქიტექტურული გეგმების იდენტური არქიტექტურული გეგმები (გეგმარების ცვლილების გარეშე), გასწორებული ფართობების დატანით.
ვინაიდან, სამსახურის 2023 წლის 30 ნოემბრის №6781549 ბრძანებას გაეცანით 2023 წლის 30 ნოემბერს, ხოლო სამსახურს განმეორებით მომართეთ 2023 წლის 1 დეკემბერს, სამსახურის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 29 (ოცდაცხრა) სამუშაო დღე.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 29 (ოცდაცხრა) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2023 წლის 22 ნოემბრის №AR11001803 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.